

რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის
უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი
ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია

ავტორი: ლია თოდუა



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორი: ლია თოდუა

რედაქტორი: ირინა კაკოიაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება ქვეყანაში არსებული რეალური რისკების შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს – ეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების შესახებ შეთანხმებით დადგენილი პრინციპია, რომლის დაცვა საქართველოს ასოცირების შეთანხმებითაც ევალება. ეს პრინციპი საქართველოში 2005 წლიდან არის დაკანონებული. 2014 წელს კი შეიქმნა ინსტიტუცია, რომელსაც სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასება დაევალა – რისკის შეფასების სამსახური (სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფარგლებში). 2015 წლის განმავლობაში ამ ინსტიტუციამ რამდენიმე რისკი შეაფასა კიდევ, რომლის შედეგად სისტემის რიგი ნაკლოვანებები გამოვლინდა:

სამსახურის მიერ მომზადებული რისკის შეფასებები მოიცავს, როგორც წესი, მხოლოდ საფრთხის იდენტიფიკაცია-აღწერას, რომელსაც შემდეგ მოსდევს რეკომენდაციები ამ საფრთხის შესამცირებლად. დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას ან შეფასებებს კონკრეტულად საქართველოში ამ საფრთხისადმი ადამიანთა ექსპოზიციის და შესაბამისი დაავადების ან ჯანმრთელობის დაზიანების (ანუ საკუთრივ რისკის) მასშტაბის თაობაზე.

მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული საფრთხის შესამცირებელი რეკომენდაციები დაუსაბუთებელია, როგორც მათი შედეგიანობის (ავადობის შემცირების მასშტაბი), ისე, მათი ხარჯიანობის და ხარჯის შედეგთან შეფარდების თვალსაზრისით.

შესაფასებლად შერჩეული რისკების პრიორიტეტულობა სათუთაა. გაუგებარია, რისკის შეფასების პირველ პრიორიტეტად რატომ არ იყო დასახული ქვეყანაში გავრცელებული სურსათთან დაკავშირებული ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიცაა სალმონელოზი, შიგელოზი, ეშერიხიოზი, ბრუცელოზი, ჯილეხი, ტრიქინელოზი, ამებიოზი და სხვ.

ჩვენი აზრით, რისკის შეფასების დოკუმენტების ამ ნაკლოვანებათა მიზეზები შემდეგია:

სურსათთან დაკავშირებულ დაავადებათა შესახებ სტატისტიკური მონაცემები მწირი და არასრულია. დაავადებათა დიდი წილის დიაგნოზს წარმოადგენს „სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა“ ან „სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა“. დაავადების მიზეზების ლაბორატორიული კვლევა ძალზე იშვიათია. ასეთი არაზუსტი მონაცემების გამოყენება რისკების შეფასებისთვის ძალზე რთულია.

რისკის მმართველ ორგანოებს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) არ აქვთ რისკის შეფასების დასაკვეთად (ანუ რისკის შეფასების პოლიტიკის დოკუმენტების მოსამზადებლად) საჭირო მზაობა (პასუხისმგებელი პირი, პროცედურა). აგრეთვე, არ არსებობს თავად მმართველთა შორის კოორდინირების და მათ მიერ შემოთავაზებული რისკების რანჟირების პროცედურა.

რისკის შემფასებლების დაბნევას, შესაძლოა, ინვესტორებს ნორმატიულ აქტებში რისკის შეფასებისა და რისკის მართვის პროცედურების არასრული გამიჯვნა. კერძოდ, დებულებით, რისკის შემფასებელს ევალება „რისკის მისაღები დონის დადგენა“, რაც არა რისკის შეფასების, არამედ რისკის მართვის ფუნქციაა.

რისკის შეფასების პროცესი არ არის საკმარისად დაცული მასში მონაწილე ექსპერტების მიკერძოებულობის შესაძლებლობისგან, მათ შორის რისკის შეფასებათა განხილვისას: რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დიდი უმრავლესობა აგრარული მეცნიერებების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, მედიკოსები და კვების ექსპერტები კი ძალზე მწირად არიან წარმოდგენილნი, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ადგილობრივი წარმოების ინტერესებმა ადამიანთა ჯანმრთელობის ინტერესები დაჩრდილოს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში განხორციელებული რისკების შეფასებების ხარისხის, გამოსადეგობისა და სანდოობის ასამაღლებლად აუცილებელია აღწერილ ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პრობლემები შეექმნება როგორც WTO SPS-შეთანხმების შესრულების, ასევე, აპროქსიმაციის შედეგად ჩამოყალიბებული სურსათის უვნებლობის სისტემის ევროკავშირთან ანალოგიურ სისტემასთან ეკვივალენტობის შეფასების თვალსაზრისით.

მდგომარეობის გამოსწორებისთვის რეკომენდებულია:

შემუშავდეს რისკის მმართველ ორგანოთა ურთიერთკოორდინირების პროცედურა და შესაფასებელი რისკების რანჟირების კრიტერიუმები.

მკაფიოდ გაიმიჯნოს რისკების შემფასებლის და მმართველის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მათი ურთიერთობის პროცედურები.

გამკაცრდეს რისკის შეფასების ხარისხობრივი კონტროლი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და მიმდინარე უცხოური დახმარების პროექტებში მონაწილე ექსპერტების საშუალებით).

დაინერგოს რისკის შეფასებაში მონაწილე ექსპერტების მეტი პასუხისმგებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველმყოფი ზომები.

გაიზარდოს მედიკოსთა და კვების ექსპერტთა წილი სამეცნიერო საბჭოში.

რისკის შეფასების სამსახურმა ჩამოაყალიბოს იმ ინფორმაციისა და რესურსების ჩამონათვალი, რომელიც ესაჭიროება ქვეყანაში არსებული სურსათთან დაკავშირებული ძირითადი დაავადებების რისკების შეფასებას. მოიძებნოს გზები ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად, მათ შორის სურსათთან დაკავშირებული დაავადებების სავალდებულო დეტალური გამოკვლევის დაწესების გზით.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
ტელ.: +995 32 293 11 28
მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28
ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge
ვებგვერდი: eap-csf.ge